პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნიზმის სხივი

1990
13 თებერვალი
სამშაბათი

№19 (6246)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1990 წლის 7 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტისა და ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების განხილვა.

პლენუმზე შექმნილი სარედაქციო კომისიის სახელით გამოვიდა **გ. პ. რაზუმოვსკი.**

სარედაქციო კომისიის წინადადებათა ყოველმხრივი განხილვის შემდეგ პლენუმმა მოიწონა შემოსული შენიშვნებისა და განხილვის გათვალისწინებით დახვეწილი პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი (პრესაში გამოქვეყნდება) და მიიღო დადგენილება ამ საკითხზე.

პლენუმზე გაგრძელდა ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

ამ საკითხზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **მ. ს. გორბაჩოვი.**

პლენუმზე გრძელდებოდა კამათი.

პლენუმმა ამ საკითხზე მიიღო. დადგენილება, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

საბოლოო სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქვა **მ. ს. გორბაჩოვმა.**

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1990 წლის 7 თებერვლის დადგენილება

პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს განხილვისა და პლენუმის მონაწილეთა მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი.

2. გამოქვეყნდეს პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი პრესაში პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტებსა და ყველა მშრომელს შორის ფართო განხილვისათვის.

მოუღლელი მარჯვენა

დღეს ქვეყნის სიმდიდრე და ბედნიერება სოფლად მცხოვრები გამრჯე ადამიანებია, რომლებიც დაუღალავად იღვწიან ცხოვრებისეულ სახელოსნოში, საზოგადოებრივ ზვრებსა და ველ-მინდვრებში, ამრავლებენ სახალხო დოვლათს, შრომობენ წყნარად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე და დგანან იქ, სადაც ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესები უხმობთ.

ერთ-ერთი მათგანია ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, ზოგიშელი ნოდარ ხვადაგიანი. ამ კაცის სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ ასცდენია და კოლმეურნეობის ეკონომიკაში მუდამ თავისი წვლილი შეაქვს. ნახავ მის მიერ მოვლილ ზვარსა და ყანას და გეამაყება ასეთი კოლმეურნე—გვესაუბრებიან კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, გწამს, რომ საქმეში არასოდეს გიღალატებს, არ შეგარცხვენსო.

ნოდარმა იცის, რომ ეკონომიკური კრიზისიდან ამოსვლის ერთ-ერთი გზა მხოლოდ და მხოლოდ თავდადებული, მუყაითი და ბეჯითი შრომაა. არადა, რა საშიშად მომრავლდნენ გადაგვარებული, ვითომ გლეხები, ცხოვრებას ალღო რომ აუღეს, ვაზს და ყანას რომ არ დაეძებენ, თვალი ფულის საშოვნელად უჭირავთ.

—ამ დაღოცვილ მიწაზე თუ ერთხელ გული აიყარე, ნახვამდის... ნოდარ ხვადაგიანის ამ ნათქვამში მოჩანს კაცი ვაზსა, ყანასა და სინდის-ნამუსს რომ თვალისჩინივით უვლის და უფრთხილდება. ხუთ ათეულ წელს გადაბიჯებულს სიცოცხლე სხვაზე ნაკლებ არ უყვარს, მაგრამ კარგად ესმის თუ ნერგი სიკეთისა არ ახარა, ყოველივე დავიწყებას მიეცემა.

მიწის ერთგულ კაცს მოსწონს ოჯახური იჯარით შრომა, იჯარა ცუდი არ არისო, ამბობს, მაგრამ ვინც მიწაზე გული აიცრუა იმას მაინც ვერ უშველაო.

მალე გაზაფხული მოვა, მიწის ერთგული მეურნე გლეხკაცი კვლავ შეუდგება შრომას, რათა თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ბ. ბაქრაძე.

თათბირ - სემინარი

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ჩვენი რესპუბლიკის და მთელი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებს, რომელიც წელს მოეწყობა საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ მიღებული ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომლის მიზანია ჭეშმარიტი და დემოკრატიული არჩევნები, პარლამენტში ავირჩიოთ ღირსეულთა შორის ღირსეული.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. დამთავრდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. მალე საოლქო საარჩევნო კომისიები რეგისტრაციაში გაატარებენ დეპუტატობის კანდიდატებს.

ამიტომ დღეს უდიდესი მნიჩვნელობა აქვს ამომრჩევლების მომზადებას არჩევნებისათვის, რომ ყველა ამომრჩეველი დეტალურად იცნობდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კანონს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ, თითოეული დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფიას, მათ დადებით თუ უარყოფით მხარეებს.

სწორედ არჩევნებისათვის მზადებას მიეძღვნა ამ დღეებში პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში ჩატარებული პარტიულ-იდეოლოგიური აქტივის თათბირ-სემინარი, რომლის მუშაობაშიც ... მიიღეს პარტიული კომიტეტებისა და პარტიულ ორგანიზაციების მდივნებმა, პროპაგანდისტებმა, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა, სასოფლო კლუბებისა და ბიბლიოთეკების გამგეებმა, საარჩევნო-საინფორმაციო მეთოდური ცენტრების ხელმძღვანელებმა, სხვა აქტივმა.

თათბირ-სემინარზე მოსმენილ იქნა მოხსენებები — „რაიონის სოფლის მეურნეობაში მეურნეობრიობის ახალი ფორმების (წვრილგლეხური, კოოპერაციული და სხვა) დანერგვის ზოგიერთი ასპექტის შესახებ“, „რაიონში საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ“, „საარჩევნო კამპანიის მომზადება-ჩატარებაში პარტიულ-იდეოლოგიური აქტივის ამოცანების შესახებ“. მოხსენებით გამოვიდნენ აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. ს. ყვირილიანი,** / საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **რ. გ. სილაგაძე,** საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის იდეოლოგიური განყოფილების გამგე **ზ. შ. ხეცურიანი.**

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი, შემოვიდა შეკითხვები, რომლებზედაც გაიცა სათანადო პასუხები.

გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ რედაქციას

გთხოვთ, თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოთ ჩემი შემდეგი განცხადება:

რაიონის ომისა და შრომის ვეტერანებმა წამოაყენეს ჩემი კანდიდატურა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში.

უღრმესი მადლობა მათ ჩემთვის ესოდენ დიდი ნდობის გამოცხადებისათვის.

მე კარგად მაქვს შეგნებული მთელი პასუხისმგებლობა, რომელიც არჩევის შემთხვევაში დამეკისრება.

დღეს, ჩვენი ქვეყნისათვის ამ დაძაბულ და მშფოთვარე დროს უაღრესად იზრდება დეპუტატის როლი და პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ჩვენ ვუახლოვდებით ისეთ მომენტს, როცა მომავალმა პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს ჩვენი რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ამოცანები, მიაღწიოს საქართველოს სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

დეპუტატობა დიდი პატივია და რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს მასზე, მაგრამ პასუხისმგებლობაც ხომ დიდია, ყველა დასახელებულმა კანდიდატმა უნდა იფიქროს ამაზე, უნდა დავივიწყოთ პირადი ინტერესები, დავძლიოთ თავმოყვარეობა.

დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადავწყვიტე მოვხსნა ჩემი კანდიდატურა და უარი ვთქვა კენჭი ვიყარო დეპუტატობაზე. მთელს ჩემს შეძლებასა და უნარს ისედაც დაუზარებლად მოვახმარ ჩემი ხალხის კეთილდღეობისა და წინსვლის საქმეს.

ლევან ალექსანდრეს ძე ჩიქოვანი,

ცაგერის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგე, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში

არჩევანი გლეხს ეკუთვნის

წინა წლებში ჩატარებული საანგარიშო კრებებიდან განსხვავებით, ლაილაშის კოლმეურნეობის წლევანდელი კრება გარდა იმისა, რომ ხალხმრავალი იყო, ეს იყო ტიპიური კრება, რომელმაც ადგილზე შექმნილი მდგომარეობის საფუძველზე, აზრთა საჯარო, ნებაყოფლობითი გაცვლა-გამოცვლის მეთოდით შეაფასა აქ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

თავმჯდომარის, ა. ბურჯალიანის მიერ წარმოდგენილ საანგარიშო მოხსენებაში არ იყო უღერადი ციფრები, და მაინც შეიძლება ითქვას, რომ კრება კარგად ჩატარდა. ის ფაქტი, რომ გასული სამეურნეო წელი კოლმეურნეობამ 21 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრა დიფერენცირებული ფასის ჩათვლით, კოლმეურნეობის მიმდინარე ანგარიშზე 132 ათასი მანეთია, განუყოფელი ფონდის ფულად ანგარიშზე —40 ათასი მანეთი, მოწმობს იმაზე, რომ იჯარამ, შრომის ორგანიზაციის ამ ახლებურმა ფორმის დანერგვამ, კოლმეურნეობაში სასიკეთო ამინდი შექმნა, კოლმეურნეობას 1,5 წელია, რაც იჯარით აქვს გაცემული მიწა, პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები.

ასე, რომ კოლმეურნეობა თითქმის მთლიანად გადავიდა საჯარო ურთიერთობაზე, მაგრამ იმის გამო, რომ კოლმეურნეობაში შრომისუნარმოკლებული, მოხუცთა მეურნეობები სჭარბობს, მიწას პატრონი არ გაუჩნდა, ვერ შეძლეს რეზერვების სრულად ათვისება-ამოქმედება, 83 ჰექტარი ფართობიდან 37 ჰექტარი დაუხნავ-დაუთესელი დარჩა, რადგან წინასწარ განსაზღვრეს, რომ დაეთესათ მომავლელს ვერ მიუჩენდნენ. ზვრებში ვაზი მოუვლელობის გამო დაკნინდა და ნაცვლად 65 ტონისა, მხოლოდ 14,8 ტონა ყურძენი აწარმოეს.

კრებაზე გამოსულმა კამათის მონაწილეებმა გულწრფელად, დაინტერესებით, საკმაოდ პრინციპულად და მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით განიხილეს თავიანთი კოლმეურნეობის ავიც და კარგიც, განსაზღვრეს თავიანთი როლი ნაკლოვანებათა მაქსიმალურად შემცირებისა და მიღწეულის გამრავლება-განმტკიცების საქმეში.

კრებაზე ნათლად გამოიკვეთა მთის სოფლის ახლანდელი სულისკვეთება. კრებაზე წამოჭრილი ყველა სამეურნეო თუ სოციალური საკითხი ჩვენს მომავალს, ხვალინდელ დღეს დაუკავშირდა. გამოიკვეთა გლეხის სიფრთხილე, ანგარიშიანობა, გულდინჯი, წინგახედული, აწონილ-დაწონილი, რასაც დაუპირისპირდა რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდების პრეტენზიები.

„რიგითმა მშრომელებმა აღარ იციან ვის დაუჯერონ", „დღეს ყველა ერთად უნდა გაერთიანდეთ, ერთობლივად მთელი მონდომებით უნდა ვიზრუნოთ ხვალინდელ დღეზე, საქართველოს ბედზე", „საჭიროა განმტკიცდეს დისციპლინა, მოისუსტებს მომთხოვნელობა". „ახლა მხოლოდ საქმე, ბეჯითი და თავდადებული შრომაა დღეს ჩვენი სოფლის ყველაზე დიდი ერთგულება დედა საქართველოსადმი".

როცა თავის სოფელში სოციალურ პირობებზე ლაპარაკობდა, სურმუშის აგროუბნის ხელმძღვანელმა ისკანდერ ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ სოფელში ამჟამად 42 მოქმედი ოჯახია, ყველა უვლის საკოლმეურნეო ნაკვეთს, 42 სული პირუტყვია ოჯახური იჯარით გაცემული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სოფელი თითქმის მიტოვებულია, თანამედროვე სოფლის ყველა სიკეთის დეფიციტი იგრძნობა,—სოფელს აწუხებს მეწყრიანობა, უგზოობა, უწყლობა, სასოფლო კლუბი დიდი ხანია დაიწვა და სამაგიერო ჯერჯერობით არ აშენდა, წლები გადის ისე, სოფელში არც კინო და არც სხვა რაიმე კულტურული ღონისძიება არ ტარდება.

კრებაზე შექმნილმა უშუალო, გულდია განწყობილების ატმოსფერომ საშუალება მისცა სოფლის მშრომელებს დაუფარავად ეთქვათ საკუთარი გულისტკივილი.

ლაილაშის კოლმეურნეობა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის ყველაზე დაბალრენტაბელურია (9,5 პროცენტი), რადგან საქართველოს სსრ მთავრობამ მიიღო დადგენილება, რის საფუძველზეც მთიანი ზონის არახელსაყრელ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მყოფი რაიონების ეკონომიკურად ჩამოსაფერომ საშუალება მისცა სოფლის მშრომელებს დაუფარავად ეთქვათ საკუთარი გულისტკივილი.

ლაილაშის კოლმეურნეობა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის ყველაზე დაბალრენტაბელურია (9,5 პროცენტი), რადგან საქართველოს სსრ მთავრობამ მიიღო დადგენილება, რის საფუძველზეც მთიანი ზონის არახელსაყრელ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მყოფი რაიონების ეკონომიკურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიეცათ რეკომენდაცია განიხილონ საკითხი გლეხური მეურნეობის უპირატესი განვითარების შესახებ თვით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაუქმებამდეც კი. საანგარიშო კრებაზე გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის, შრომის ორგანიზაციის ახლებური მოდელის შექმნის იდეა დაიბადა. არჩევანის უფლება მშრომელ კაცს მიეცა, მაგრამ გლეხმა, საქმეში გამობრძმედილმა და წინგახედულმა მშრომელმა კაცმა, ასე ადვილად ჯერჯერობით ვერ მიიღო გადაწყვეტილება კოლექტივის გაუქმებაზე. რადგან ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი საპრობლემო საკითხია დასახვეწი, აქედანვე სიფრთხილეა საჭირო, რომ ნაჭარევმა გადაწყვეტილებამ ახალ მოვლენად, ბრალად ნასვლისა ნავე არ გაუტეხოს სახელი.

ყოველ შემთხვევაში, როგორც კრებაზე ითქვა, გლეხური მეურნეობების, კოოპერატივების, იჯარული ფორმირებების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ზრდის, შრომის ეფექტიანობის ამაღლების მომგებიანი ფორმის გამოყენების არჩევანი ცალკეულ მშრომელთა უფლებებს განეკუთვნება და აქ თავსმოხვეული გადაწყვეტილებები, საქმისადმი ქაოსური მიდგომა გამორიცხულია.

კრებაზე დაისვა საკითხი სოფელში დამხმარე საწარმოს, მომსახურებისა და რეალიზაციის პუნქტის გახსნაზე, რათა მოსახლეობას ადგილზევე მიეცეს მის მიერ ნაწარმოები ჭარბი პროდუქციის რეალიზაციის საშუალება. ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, რომ სოფელმა ბოლოსდაბოლოს თავისი სახე დაიბრუნოს და ისე იცხოვროს როგორც ეს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს ეკადრება.

კრებაზე შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. კ. გუგავამ.

საანგარიშო კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ი. სვანიძემ.

ჯ. მანდარია.

მადლობას იმსახურებენ

გასული წლის დეკემბრის თვეში სოფლებში ზარაგულასა და ზედა ლუხვანოში დიდთოვლობის შედეგად ჩაიკეტა მისასვლელი გზები.

საგზაო სამმართველოს ხელმძღვანელებმა (უფროსი ო. გიორგობიანი, უბნის უფროსი ე. სვანიძე) გულთან მიიტანეს ზარაგულელებისა და ზედა ლუხვანოს მცხოვრებთა გაჭირვება. მათი ხელმძღვანელობით ორ-ორი დღე იმუშავეს თითოეულ სოფელში ძლიერმა ბულდოზერებმა და აღდგენილი იქნა მისასვლელი გზები. შესაძლებელი გახდა სოფელ ზედა ლუხვანოში კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში საკვების შეტანა.

ასევე იანვრის თვეში რამდენჯერმე ჩამოწვა მეწყერი ქვედა ლუხვანოს „კალამეუაშის" სამანქანო გზის მონაკვეთზე, 50 მეტრის სიგრძეზე და შეჩერდა ავტოტრანსპორტის მიმოსვლა. აღნიშნული გზის აღდგენაზე ენერგიულად იმუშავეს საგზაო სამმართველოს ბულდოზერების მძღოლებმა: გ. ბენდელიანმა, ი. მეშველიანმა, ძმებმა დაზმერ და ვაჟა კოპალიანებმა. მეწყრისა და ზვავებისაგან გაწმენდილი გზის მოხრეშვა-კეთილმოწყობაზე მთელი ათი დღის განმავლობაში გულიანად იმუშავეს საგზაო სამმართველოს მძღოლებმა იუზა საღინაძემ, ბორის ბენდელიანმა, რევაზ ლეთოდიანმა, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლებმა ზურაბ ლიპარტელიანმა, ბორის ბანძელაძემ, ჯემალ ტვილდიანმა და მერაბ კოპალიანმა.

გზების მოხრეშვა — კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულებაში აქტიურად იშრომეს სოფლის მკვიდრებმა: შოთა, ჯოკია, რამაზი, გოჩა, ამირან, ჯანსულ საღინაძეებმა, გოჩა ხეცურიანმა, ვეფხია ბენღელიანმა, ამირან ნემსწვერიძემ და სხვებმა.

ლუხვანოს სასოფლო საბჭო, დეპუტატები, ყველა მშრომელი დიდი მადლიერია ცაგერის საგზაო სამმართველოს ხელმძღვანელებისა და შრომითი კოლექტივისა, რომლებმაც სტიქიური მოვლენებისაგან დაზიანებული გზების აღდგენა-კეთილმოწყობისათვის დროულად მიიღეს ზომები და მოსახლეობას შეუქმნეს ცხოვრების ნორმალური პირობები.

გ. კოპალიანი,

სახალხო დეპუტატთა ლუხვანოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მთავარია ხარისხი

ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატში სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ ცხოვრება სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს მატერიალური წარმოების სფეროს. ძველი წლების მწარე გამოცდილებამ, როცა ქვეყანაში მასიურად ნადგურდებოდა ჩაწოლილი წუნდებული პროდუქცია, ცეცხლს მიჰქონდა ადამიანის შრომით შექმნილი მილიონობით მანეთის საქონელი, აიძულა ადამიანები უფრო გონივრულად, გულშემატკივრულად მიეხედათ საქმისათვის და თუმცა ეკონომიკური ბერკეტები ამჯერადაც არ ამოქმედებულა მთელი ძალით, ამ საქმეში გარკვეული პროგრესი მაინც შეინიშნება.

უკეთესი, სინდისიერი შრომის შედეგია, რომ გასულ, 1989 წელს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს ირცერთი რეკლამაცია არ მიუღია უხარისხო პროდუქციის გამოშვების გამო. აქ ძირითადად საწოლის თეთრეული იკერება, თითოეული ვვირისტი გულდასმით დამუშავებასა და ყურადღებას მოითხოვს.

შარშან კომბინატმა პროდუქციის გამოშვების გეგმა ნედლეულის მიუწოდებლობის გამო ვერ შეასრულა, სამაგიეროდ რეალიზაციის გეგმა 107 პროცენტით შეასრულა, რეალიზაცია უყო 1581 ათასი მანეთის პროდუქციას ნაცვლად 1475 ათასი მანეთისა. 113 პროცენტით შესრულდა მოგების გეგმაც, 104 პროცენტით—შრომის ნაყოფიერების.

სურათზე: ტექკონტროლის ინჟინერი თამილა მეგრელი, მთავარი ინჟინერი მზია ახვლედიანი და წუნდებული გულნარა ასათიანი ამოწმებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ზ. გზოგბავას ფოტო.

სოციალური სფერო

მომხმარებლის ინტერესებისათვის

შეიქმნა ცეკავშირის თბილისის სამომხმარებლო საზოგადოება. ამ ორგანიზაციის შექმნის მიზანია გაუმჯობესოს რესპუბლიკის დედაქალაქის უზრუნველყოფა კვების პროდუქტებით და ნაწილობრივ—სამრეწველო საქონლით. საზოგადოება, რომელიც სოფლის მოსახლეობისაგან შეიძენს პროდუქციას, გაყიდის მას საფირმო მაღაზიების ქსელის მეშვეობით, რომელთა რიცხვიც უკვე ოცდათერთმეტია.

რაც შეეხება პარტნიორობას რესპუბლიკის ფარგლებში, მოგვარეს თანამშრომლობა საგარეჯოს, სიღნაღის, გარდაბნის რაიონებთან, მათ იჯარით ეძლევათ სათავსები საკოლმეურნეო ბაზრებში, სადაც ისინი ყიდიან თავიანთ პროდუქციას, მათთან ერთად ასრულებენ სხვა ურთიერთხელსაყრელ ოპერაციებს.

ახლახანს შექმნილ კოლექტივს თავისი პრობლემებიც აქვს, რომელთაგან უმთავრესია ის, რომ არა აქვთ საკუთარი საცავები. ჯერჯერობით ამ საცავებს იჯარით იღებენ გორის რაიონის სოფელ შინდისის კოლმეურნეობისაგან, პროდუქციის შესყიდვის ადგილებზე. მაგრამ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები საკუთარი ბაზების შექმნის გზაზე. კერძოდ, გადაწყდა ააგონ 100 ტონა პროდუქციის შენახვისათვის განკუთვნილი საცავი მცხეთის რაიონის სოფ. ნატახტარში.

ახალი საზოგადოების საქმიანობის კიდევ ერთი მხარე, საქმე ეხება დამხმარე მეურნეობათა ორგანიზაციას. მცხეთის რაიონის ძალისის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე შეიძინეს მოძველებული საწარმო და მის ბაზაზე იწყებენ ხილბოსტნეულის კონსერვების, დამწნილებული სოკოს, სხვა პროდუქციის გამოშვებას. დაგეგმილი აქვთ საკალმახე მეურნეობის შექმნა.

განვიხილავთ საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციას

კვლავ დახვეწას საჭიროებს

გავეცანი ახლახან გამოქვეყნებულ „საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციას“. ისე, როგორც უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული სხვა დოკუმენტები, რომლებიც ეხებიან სასკოლო განათლების სხვადასხვა საკითხს, ეს დოკუმენტიც ძვირფასია. ყველაფერი კარგად არის განსაზღვრული და ჩამოყალიბებული. განსაკუთრებით მოსაწონია კონცეფციის I ზოგადი ნაწილის მე-6 მუხლი, სადაც ლაპარაკია საქართველოში მცხოვრები ყველა მოსწავლის (ქართველი თუ არაქართველი) უფლებაზე, რომ „ყველა მოსწავლე ეუფლება რესპუბლიკის სახელმწიფო ენას — ქართულს, სწავლობს საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ტრადიციებს, ეზიარება კულტურას, ქართველი ერის უმაღლეს სულიერ ღირებულებას“. ეს არაქართველ მოსწავლეებს ჩაუნერგავს იმ ხალხისა და ქვეყნის პატივისცემას, სადაც მათ უხდებათ ცხოვრება და საქმიანობა, იმ პატივისცემას, რომელიც ასე აკლია ამჟამად საქართველოს.

კონცეფციის II ნაწილიდან განსაკუთრებით მოსაწონია სიახლე სკოლის სტრუქტურაში — მესამე საფეხურის ანუ პროფილური სკოლის შექმნის საკითხი. ამ სკოლაში მოსწავლეს საშუალება მიეცემა გაიღრმაოს ცოდნა მის მიერ არჩეულ ან მისთვის რეკომენდირებულ სპეციალობაში. ეს ხელს შეუწყობს ნამდვილი სპეციალისტების აღზრდას, რაც ასე საჭიროა დამოუკიდებელი საქართველოსათვის, რაზედაც ოცნებობს დღევანდელი ქართველი.

რაც შეეხება კონცეფციის III ნაწილს „სასკოლო განათლების შინაარსი“, მეტად დამაფიქრებელია და ძნელი შესასრულებელი თანამედროვე პირობებში. ბევრი მოთხოვნებია წაყენებული პირველი საფეხურის სკოლადამთავრებულებისადმი, კონცეფციის მე-3 ნაწილის მე-4 მუხლში ჩამოყალიბებულია თუ როგორი უნდა იყოს დაწყებითი სკოლის დასრულებისას მოსწავლის „პორტრეტი.“ თუ ბავშვმა 6 წლის ასაკში უნდა დაიწყოს სწავლა (რაც ნაადრევად მიმაჩნია), როგორ უნდა დავაკისროთ 10 წლის ბავშვს ამდენი რამის ცოდნა? ისიც მაშინ, როცა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დიდ ნაწილს სამ და ოთხ კლასთან უხდებათ ერთდროულად მუშაობა. მიმაჩნია, რომ თუ კი შეიქმნება სათანადო პირობები სკოლაში ამის შესრულებისათვის, ამას რა სჯობია? ეშველებოდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეს, მეორე საფეხურის სკოლაში, სადაც მოსწავლეთა უმრავლესობა ამჟამად მე-4 მუხლში აღნიშნული შებრუნებული „პორტრეტით“ მოდიან.

კონცეფციაში ლაპარაკია მოსწავლეთა ცოდნის შეფასების შესახებ და ითვალისწინებს ახლანდელ ხუთბალიანი მოდელის შეცვლას ათ-ოც ან ასბალიან სისტემაზე, რაც არასწორად მიმაჩნია. ამჟამად მოქმედი ხუთბალიანი სისტემა ძირითადად ოთხბალიანად არის ქცეული. თუ რა იქნება ასბალიანი სისტემის შემოღებით ძნელი წარმოსადგენია.

კონცეფციით დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მეორე საფეხურის—ძირითად სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებას. როგორც ვიცით, ამ საკითხზე ბოლო ხანებში ბევრი სახელმწიფო კანონებია მიღებული. მაგრამ ისიც ვიცით, რომ საქმით ბევრი არაფერი გაკეთებულა, არ გვაქვს სტაბილური პროგრამა და სახელმძღვანელოები. ამ საგანში ამჟამად არასრულ საშუალო სკოლაში სამი პროგრამაა მოქმედებაში: მე-9 კლასი მუშაობს ლიტერატურაში 1979 წელს გამოსული პროგრამით, ისიც ორსაათიანი კვირეულ დატვირთვაზეა გათვალისწინებული (ახლა სამსაათიანია), ენაში კი 1984 წელს შემუშავებული პროგრამით. მე-7-8 კლასები ქართულ ენასა და ლიტერატურაში მუშაობენ 1984 წლის პროგრამით, ხოლო მე-5-6 კლასები—ახალი 1989 წლის პროგრამით. პროგრამებით გათვალისწინებული ძირითადი მასალის ნაწილი არ არის სასწავლო სახელმძღვანელოებში, ხოლო დამატებითი მასალა ზოგიერთი კლასის სასწავლო სახელმძღვანელოში სრულებით არ არის, რაც უარყოფითად მოქმედებს სწავლებაზე.

გ. ცხვედიანი,

დეხვირის არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

გამოცდილება — ინფორმაციისათვის

მომხმარებელი იძენს ქომაგს

მაშ ასე, თქვენ მოგყიდეს წუნდებული ან დაბალხარისხიანი საქონელი, მთლიანად არ შეგისრულეს წინასწარ ანაზღაურებული სამუშაო. სად უნდა წახვიდეთ, ვის უნდა მიმართოთ, როგორ აინაზღაუროთ მიყენებული ზარალი? ასეთი უსიამოვნება თქვენ რომ პორტუგალიაში შეგემთხვათ, თქვენს დასახმარებლად მოვლენ მომხმარებელთა ასოციაცია და მომხმარებელთა დაცვის ეროვნული ინსტიტუტი. ისინი დაგეხმარებიან იურიდიული რჩევა-დარიგებით, ზემოქმედებას მოახდენენ იმაზე, ვინც გაწყენინათ, გირჩევენ, სხვა რომელ ფირმას შეიძლება მიმართოთ, ვისი პროდუქცია ან მომსახურება აღარ გამოიწვევს მომავალში თქვენს საყვედურს.

ეს ორგანიზაციები ქვეყანაში შედარებით ახლახანს—ოთხმოციანი წლების დასაწყისში შეიქმნა, მაგრამ უკვე მოასწრო კარგი სახელის მოხვეჭა მომხმარებელში.

ასოციაცია და მომხმარებელთა დაცვის ეროვნული ინსტიტუტი უშვებენ სპეციალურ ჟურნალს, რომლითაც ფართოდ აუწყებენ მკითხველს თუ რომელი კომპანია ან მაღაზიაა მხილებული არაკეთილსინდისიერებაში, ანალოგიური საქონლის რომელ გარკვეულ ფირმას მიანიჭონ უპირატესობა, როგორც უფრო ხარისხიანსა და იაფს, და რომელთა საქონელში მოიგებენ ხარისხისა და ფასის მხრივ.

მალე პორტუგალიელებს თავიანთი უფლებების დაცვის ახალი ეფექტიანი ინსტრუმენტი ექნებათ. ლისაბონის მუნიციპალურმა საბჭომ ასოციაციასა და ინსტიტუტთან, აგრეთვე საცალო ვაჭრობის ასოციაციათა კავშირთან ერთობლივად გადაწყვიტეს დააარსონ მომხმარებლის ტრიბუნალი. ეს სასამართლო ორგანო, რომელსაც მინიჭებული აქვს ყველა სამართალდაცვითი უფლება, უშუალოდ დაკავებული იქნება მხოლოდ მყიდველსა და გამყიდველს შორის დავის გარჩევით. იგი მოქმედებს ლისაბონის მუნიციპალიტეტის იურისდიქციის შესაბამისად და მისი გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება შესასრულებლად, ისევე, როგორც ჩვეულებრივი სასამართლოს გადაწყვეტილება.

ლისაბონის მუნიციპალიტეტმა დაიწყო კამპანია დევიზით „ლისაბონი საუკეთესო ხარისხის პროდუქციისა და მომსახურების ქალაქია“. გათვალისწინებულია განსაკუთრებით გამოყონ ის კომპანიები და კერძო ვაჭრები, რომელთა პროდუქციაც სტაბილურად მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მათ მაღაზიებს ექნებათ გამოსარჩევი ნიშნები და მუნიციპალურ ხელისუფალთაგან მიენიჭებათ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.

თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის შესახებ

თუ გვინდა სოფელი შევინარჩუნოთ

ბაზეთ „კომუნიზმის სხივის“ 1989 წლის 10 მარტისა და მომდინარე წლის 30 იანვრის ნომრებში გამოქვეყნებულ წერილებში „ღირს დაფიქრებად“ და „მივხედოთ დედა ბუნებას“, აგრეთვე თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის შესახებ დაბეჭდილ სხვა წერილებში გამახვილებულია ყურადღება ეკოლოგიურ საკითხებზე.

წერილებში დაყენებული პრობლემები გლობალურია. საუკუნეობით ჩამოყალიბებული ბუნებრივ-ეკოლოგიური პროცესების რღვევის მიზეზებზე ახლა ბევრი იწერება, მაგრამ საუბედუროდ ამ მიზეზების თავიდან აცილებისათვის ძალიან ცოტა კეთდება.

მე არა მაქვს პრეტენზია და არც კომპეტენტური ვარ მეცნიერულ საფუძველზე გავაანალიზო აღნიშნული პრობლემები, მაგრამ საკუთარი თვალით დანახულის საფუძველზე მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა.

ადრეულ პერიოდში ჩვენი სახნავ-სათესი ფართობები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ციცაბო ფერდობებია, ხარებით (კავით) იხვნებოდა 20-25 სანტიმეტრის სიღრმეზე, რაც მცენარის აღმოცენება-განვითარებისათვის საკმარისია. ყანას ირგვლივ და შიგ ხნულში წყლის საწრეტ კვლებს უკეთებდნენ. ხნული ჭარბ ნალექს არ აგროვებდა და მუდამ სტრუქტურას ინარჩუნებდა. კარგი მოვლის პირობებში ყოველგვარი სასუქის გარეშეც, მაღალი მოსავალი მოჰყავდათ.

მიწისადმი არასწორი, მცდარი დამოკიდებულების გამო, რაც ბოლო წლებში დამკვიდრდა, საქმე სასურველის საწინააღმდეგოდ წავიდა. მექანიზაციის იმედით ხარი, როგორც გამწევი ძალა, თითქმის გამოიდევნა ხმარებიდან (გლეხს ეკრძალებოდა საკუთრებაში ხარის ყოლა). მძლავრი ტრაქტორებით ხვნა-თესვა მხოლოდ დაბლობ ადგილებში შეიძლება, მაგრამ ჩვენი რაიონი ძირითადად მთაგორიანია და ამ მძლავრი ტრაქტორებით ციცაბო ფერდობები იხვნება ზემოდან ქვემოთ და რელიეფის უსწორმასწორობის გამო ზოგიერთ ადგილზე ტრაქტორის გუთანი 40-50 სანტიმეტრის სიღრმეზე ჩადის, გადმობრუნდება უზარმაზარი მიწის მასა, წარმოიქმნება დიდრონი ღრმულები, მასში გროვდება წყლები და წარმოიქმნება მეწყერები, რამაც დაგვიკარგა არა მარტო დიდი რაოდენობით სახნავ-სათესი ფართობები, არამედ დაინგრა ბევრი სოფელი.

ეკოლოგია და სოფლის მეურნეობა მჭიდროდ და ორგანულად დაკავშირებული საკითხებია, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არ არსებობენ, ამიტომაც აქვთ ადამიანისათვის ყველაზე საარსებო მნიშვნელობა. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მექანიზაცია ხელს არ უწყობდეს სოფლის მეურნეობის წინსვლას და განვითარებას და მამაპაპურ კავს დავუბრუნდეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ სანამ სამთო ტექნიკა არ შექმნილა დიდი შეცდომაა 10 გრადუს ზემოთ დახრილ ადგილებში მძლავრი, დიდგუთნიანი ტრაქტორებით ხვნა. ასეთ ადგილებში უნდა ვხნათ უფრო მსუბუქი ტრაქტორებით და მცირე ზომის გუთნებით. სიერცხვილად ნუ მივიჩნევთ ვხნათ ხარებით, ძველებურად გავუკეთოთ წყალსაწრეტი კვლები, რითაც ავიცილებთ ან შევამცირებთ მეწყერულ პროცესებს.

გამწევი ძალის, ხარების უგულვებელყოფამ, დამრეც ფართობებიდან მოსავლის გამოზიდვა გააძნელა და აუცილებელი გახდა ბულდოზერებით თითქმის ყველა ნაკვეთში სამანქანო გზის გაყვანა, ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი მეწყერის გაძლიერებას.

სავსებით ვუჭერ მხარს ზემოთ დასახელებულ წერილებში დაყენებულ პრობლემების დროულად მოგვარების აუცილებლობას. ტყის დაცვა, მისადმი გონივრული მოპყრობა ყველას საქმეა, ჩვენი სოფლის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს თვით სოფელში არსებული ტყეების დაცვა, კერძოდ, ღელეების პირას, სახნავ-სათესი ფართობების ირგვლივ გაშენებული ტყეების დაცვა, რომელთაც არ იცავს სახელმწიფო ან საკოლმეურნეო სატყეო მეურნეობები. ეს პატარა ტყეებია ჩვენი მიწების გამმაგრებელი, მაგრამ ზოგიერთი უგნური ამ მცენარეებს ჩეხავს იმ მოტივით, რომ იჯარით გაპირავნებული ვენახისთვის მჭირდებაო და სწორედ ეს ქმნის მეწყერული მოვლენების გაძლიერების პირობებს. მიმაჩნია, სახოფლო საბჭოსთან ერთად ამ მტკივნეულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქცეროს სატყეო მეურნეობებმა, ზოგიერთი მათგანი ნაკრძალადაც უნდა გამოაცხადონ.

ბევრი საერთო სატკივარი დაგვიგროვდა, მაგრამ ყველაზე მეტად სოფელს უჭირს. აქ ერთმანეთთან დაკავშირებული საკმაოდ დიდი რაოდენობის პრობლემებია გადასაწყვეტი და თუ გვინდა შევინარჩუნოთ სოფელი, მეტი უნდა ვიზრუნოთ ამ პრობლემათა გადაწყვეტისათვის.

ჩემის აზრით, პირველ რიგში, ყოველი ღონისძიებით უნდა შევაჩეროთ ეკოლოგიური რღვევა, უნდა შევქმნათ სოფლად მტკიცე ბაზა „პური ჩვენი არსობისა“, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ ყველა სავარგული, თუნდაც კავითა და ხარით, აგრეთვე (და ეს არანაკლებ მთავარია) ქალაქზე მეტად ყურადღება გადატანილი იქნას სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, არა სიტყვით, არამედ საქმით, თუ გვინდა შევაჩეროთ მიგრაცია და შევინარჩუნოთ სოფელი.

ალ. ნემსწვერიძე,

ომისა და შრომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი. სოფ. ბარდნალა.

მივხედოთ ეკლესიას

ვსწავლობ ტვიშის საშუალო სკოლის მეცხრე კლასში. ვკითხულობ რაიონულ და რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებს კულტურის ძეგლებსა და მათ შორის სოფლის ეკლესიების მოვლა-აღდგენის შესახებ და გული მტკივა, რომ ჩვენი სოფლის ეკლესია უპატრონოდაა მიტოვებული. დროთა განმავლობაში იგი დანგრეულა, ოთხი კედელია დარჩენილი, მასში ამოსულია ხეები და ეკალბარდი, ყურადღებას არავინ აქცევს.

ბებიაჩემი ბევრჯერ მესაუბრებოდა ღმერთზე, რწმენაზე, მაგრამ მასწავლებლები საწინააღმდეგოს გვეუბნებოდნენ. მოვიდოდა აღდგომა და გვაფრთხილებდნენ კვერცხი არ შეღებოთ. ეკლესიაში არ შეხვიდეთ, ჩვენს რეგიონში 6 მაისს იციან გიორგობა (ჩხუდალობა), ჩაგვჩიჩინებდნენ ამ სალოცავზე არ წახვიდეთო, არ გვეწამა ღმერთი.

გვეუბნებოდნენ „ღმერთი რას გიშველის ხელი თუ არ გაანძრიეო" და მართლაც შრომაა ყოველი სიკეთის საფუძველი, მაგრამ როგორც ვუკვირდები კარგის მეტი არაფერი მოჰქონდა რწმენას, ლოცვასა და ღმერთის წამებას. რელიგიურ დღესასწაულებზე ადამიანები ერთმანეთს ხვდებოდნენ, აზრებს უზიარებდნენ, ურთიერთს იმედს აძლევდნენ, ჰქონდათ რწმენა, ღმერთის ეშინოდა ყველას და ნაკლებად ხდებოდა ბოროტებანი, ქურდობა და სხვა ამორალური ქცევები.

ჩემი სურვილია სოფლის ხელმძღვანელები დაფიქრდნენ და იზრუნონ სოფლის ეკლესიის აღდგენაზე. ამ საშვილიშვილო საქმეში მოსწავლე ახალგაზრდებიც მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას და შეიქმნება პირობები ადამიანთა ურთიერთდაახლოების, აზრთა გაზიარების და მწამს ეს ხელს შეუწყობს შრომით პაექრობას, სოფლის ეკონომიკურ გაძლიერებას, რაც მეტად სჭირდება ჩვენს საქართველოს, რომ მივაღწიოთ სანუკვარ ოცნებას, დამოუკიდებლობას.

ქეთევან გორეზიანი,

ტვიშის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

სევდიანი თვალები

სიყმაწვილე ბედნიერი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. ეს ის ასაკია, როცა მოჭარბებულად გრძნობ მოზღვავებულ ენერგიას: გგონია შეუძლებელს შეძლებ, ასეც უნდა იყოს, რადგან ახალგაზრდობა—ეს ის ძალაა, რომელსაც ეყრდნობა და რომლის იმედიც აქვს ჩვენს ერს, ჩვენს ხალხს. მათი ბობოქარი ცხოვრება სავსეა მიღწევებით, ნაკლოვანებებითაც, მაგრამ, რაც მთავარია, აქვთ ძიების, ახლის შეცნობის დაუოკებელი სურვილი და თავისებური შეხედულებები ცხოვრებაზე. ხანდახან ისიც კი ჰგონიათ, რომ მათ მიერ გადაწყვეტილ ამა თუ იმ საკითხს აუცილებლად დადებითი შედეგი მოჰყვება, მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება... აი, თუნდაც ოჯახის ნაჩქარევი შექმნა.

ფიქრი, რომელიც მტკივნეულად ამეკვიატა აწუხებს ყველას, გვაწუხებს თუნდაც იმიტომ, რომ მომრავლდა დაშლილი ოჯახები, მიტოვებული ბავშვები. სავალალოა, მაგრამ ფაქტია, მშობლების მიერ თავისდროზე ნაჩქარევად, დაუფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯს ბავშვების სევდიან თვალებში ამოვიკითხავთ.

ურთიერთობა გვაქვს დაძმასთან, რომელთა მშობლები დასცილდნენ ერთმანეთს, მერედა პატარებს როგორ უნდათ მამა, რომელსაც სიზმარშიც კი ხედავენ, მათ არაფერი აკლიათ, ბინაც მისცეს, ყველა ხელს უწყობთ, მაგრამ აკლიათ მთავარი—მამის ალერსი, ამიტომაც ჩადგომიათ შავ ბრიალა თვალებში სევდა და ნაღველი. ღირს დაფიქრებად! თუნდაც იმიტომ, რომ პასუხი გასცე ბავშვებს, რომლებიც მშობლიურ ალერსს დანატრებულები სხვებში დაეძებენ სითბოს.

ვფიქრობ, ვკითხოთ მათ, ვისაც ეს ეხება. რას ფიქრობენ, რას ერჩიან ბავშვებს?

ფართოვდება პირდაპირი კავშირურთიერთობანი

თბილისში შეიქმნა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება. მისი შექმნა ორ ქვეყანას შორის პირდაპირი კავშირების ინტენსიური გაფართოების შედეგია.

— ჩვენი მთავარი მიზანია, — თქვა საზოგადოების პასუხისმგებელმა მდივანმა ს. ჩიხლაძემ, — ინფორმაციის „ექსპორტის" მეშვეობით ამერიკელებს გავაცნოთ საქართველოს ცხოვრება, მისი ისტორია და კულტურა, რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები. ხოლო ჰუმანიტარული, კულტურული, მეცნიერული, სავაჭრო და სხვა სახის კონტაქტები, რომლებსაც საზოგადოება ყოველმხრივ შეუწყობს ხელს, ამ ამოცანის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს.

საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელიც მხარს დაუჭერს მის მიზნებსა და ამოცანებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კოლექტიური წევრები — საწარმოები და ორგანიზაციები.

უკვე შექმნილია ერთობლივი საწარმოები, იდება კომერციული გარიგებები, განიხილავენ კონკრეტული საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შესაძლებლობას.

მეგობრული და საქმიანი კონტაქტების შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ თბილისსა და ატლანტას, თელავსა და ნანს შორის (კალიფორნიის შტატი) პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებებს. მიმდინარეობს მოლაპარაკება ახალ ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

(საქინფორმი).

სასარგებლოა

საფუარი, კვერცხი, თაფლი

შაბათ-კვირას გარდა, ზოგჯერ ჩვეულებრივ სამუშაოთა დღესაც გვიწევს კინოში, თეატრში ან სტუმრად წასვლა. გიდა-ღლა რომ არ გვემჩნეოდეს და სასიამოვნოდ გამოვიყურებოდეთ, ჯერ სახე დავიბანოთ თბილი წყლით (შეიძლება საპნითაც „საბავშვო", „კოსმეტიკური" და სხვა), შემდეგ გავიკეთოთ საფუარის ნიღაბი (მას „სადღესასწაულოს" უწოდებენ). ის სახეს ამშვიდებს და სისხლის მიმოქცევას აქტიურებს. საფუარი გავხსნათ წყალში (ფაფის მიღებამდე) და წავისვათ სახეზე სამ ფენად: ჯერ ერთი ფენა, 3–5 წუთის შემდეგ — მეორე...

შეიძლება გავიკეთოთ კვერცხის ნიღაბიც. მშრალი კანისათვის იხმარეთ ოდნავ ათქვეფილი გული, ცხიმიანი კანისათვის ცილა. თუ სისხლძარღვები არ არის გაფართოებული, ნიღაბს დავუმატოთ ერთი ჩაის კოვზი თაფლი.

უკრაინის სსრ. სნიგირევკის რაიკოოპერატივი ერთ-ერთი საუკეთესოა ნიკოლაევსკის ოლქში. ვაჭრობას, საზოგადოებრივ კვებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებას აქ წარმატებით უძღვებიან. დეფიციტის პირობებში მშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია რეზერვების ძიება. ასეთი კი, პირველ რიგში, არის საკუთარი წარმოება, მოსახლეობისაგან პროდუქციის შესყიდვა, მოქმედ ქარხნებში, კომბინატებში, საამქროებში სიმძლავრეთა ზრდა და რეკონსტრუქცია, ადგილობრივი ნედლეულისაგან პროდუქციის ახალი სახეების გამოშვება.

ბოლო წლებში რეკონსტრუირებული იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შენდება ხორცის ნამზადის გადასამუშავებელი ახალი საამქროები. აქვთ თავიანთი საკონდიტრო საამქრო, რამდენიმე თვის შემდეგ სნიგირევკელი კოოპერატორები ჩაისაც გამოუშვებენ.

სურათებზე: პენსიონერები ანა და ვასილი გავრილენკოები 10 წელია ზრდიან და აბარებენ ღორებს.

სნიგირევკის მაღაზია „კოოპერატორი" საუკეთესოდ ითვლება ოლქში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ასეთი სიუხვე ძნელია ნახო დედაქალაქის მაღაზიებშიც კი.

(საკდესის ფოტოქრონიკა). ა. კრემკოს ფოტო.

მეუღლე ლოლა, შვილები გემარი, ფაქიზო, რძალი ფოთოლა, სიძე ნოდარ ხმელიძე, შვილიშვილები მამუკა, ლია, ელისო, მერაბი, მალხაზი, დათო, ძმა გერონტი, რძალი საშა, ძმისშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ანთიმოზ ანტონის ძე თუთისანი.**

დაკრძალვა 15 თებერვალს, ხუთშაბათს, სოფ. წიფერჩში.

ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს ხათუნა და დიტო სილაგაძეებს დედის და სიდედრის **ნათელა ფრუიძის** გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-81, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23.

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1. ინდექსი 66539, ტირაჟი 4461

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.